GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 124
თარიღი: 25 03 2015 წ.

GRASS FACTCHECK

ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობას

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37–ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე–40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- რამდენი სოფელი დაისეტყვა და რა ოდენობის ზარალი მიადგა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებს 2014 წლის 14 სექტემბერს მომხდარი სეტყვის შედეგად?
- რა ოდენობის თანხა გამოიყო სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად და როდის?
- პრემიერის რომელი განკარგულებით განისაზღვრა გამოყოფილი თანხის ოდენობა და რა ვადებში უნდა მომხდარიყო დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციის გადახდა?(გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად და თავად პრემიერის შესაბამისი განკარგულების ტექსტიც);
- როდის გადაერიცხა ადიგენის მუნიციპალიტეტს სტიქიით დაზარალებულთათვის გამოყოფილი თანხა?
- ვინ და რა კრიტერიუმებით განსაზღვრა სტიქიით დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გაცემის ფორმა და რა ვადებში განისაზღვრა კომპენსაციის გაცემა?
- საერთო ჯამში რამდენ სოფელსა და კომლში გაიცა კომპენსაცია?
- ვინ და რა კრიტერიუმებით განსაზღვრა, რამდენ კომლს და რა ოდენობით უნდა მიეღო კომპენსაცია? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, თუ რა კრიტერიუმებით შეირჩნენ საკომპენსაციო პირები და მათზე გასაცემი კომპენსაციის ოდენობა);
- დაზარალებულ პირებზე გასაცემი კომპენსაციის ფარგლებში შეძენილი პროდუქტების შესყიდვა განხორციელდა თუ არა ტენდერის გზით. თუ არა, რატომ?
- რა კრიტერიუმით შეირჩა ის სუბიექტი, რომლისგანაც იქნა შეძენილი დაზარალებულ მოსახლეობაზე გასაცემი კომპენსაცია? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, კომპანიის დასახელება, მისთვის გადარიცხული თანხის ოდენობა და ვადები);
- რა ფასში მოხდა დაზარალებულმოსახლეობაზე გასაცემი კომპენსაციის შეძენა? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, თითოეული პროდუქტის საცალო ღირებულება ცალ-ცალკე);

GRASS FACTCHECK

პატივისცემით,

პაატა გაფრინდაშვილი

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) ვიცე-დირექტორი

მისამართი:

თბილისი, მიცკევიჩის 27

საკონტაქტო პირი:

ლაშა სენაშვილი

მობ: 598 809 512 / ელ. ფოსტა: lashasenashvili@gmail.com